

პროლეტარულთ ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს ს.ს.რ.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ოუსციციის სახალხო კომისარიატის გამოსცმა

1929 წ. ნოემბრის 25.

№ 20

ნაწილი პირველი

შ ი ნ ა ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

- 221. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.
- დებულება ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.
- 222. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212 მუხლის შენიშვნის დამატების თაობაზე გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ს თარიღისა და 96 №-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.
- 223. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხლის რედაქციის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 366⁸⁸ მუხლის დამატების შესახებ.
- 224. სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 407¹ მუხლის დამატების შესახებ.
- 225. საქართველოს სსრ-ის მიწის კოდექსის 27 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების შეცვლისა და იმავე კოდექსის 29 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.
- 226. ნადირობის დებულების დამტკიცების შესახებ.
- დებულება ნადირობის შესახებ.
- 227. სანახაობათა გადასახადის უკიდურესი განაკვეთის შეცვლის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

228. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ახალციხის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის დამტკიცების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

229. „საქართველოს სახალხო მფურნეობის განუწყვეტელ საწარმოო (სამუშაო) კვირაზე გადაყვანისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებთაშორისო მთავრობის კომისიის დებულების“ დამტკიცების შესახებ.

დებულება საქართველოს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოთა კვირაზე გადაყენისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო მთავრობის კომისიის შესახებ.

230. „სასესხო პროცენტების უკიდურესი ნორმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 29-ს დადგენილების შეცვლის შესახებ.

231. სპირტის სასმელების ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ.

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება.

221. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის დებულება.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოთ 1929 წლის ოქტომბრის 1-დან.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესახებ.

1. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ კომუნალურ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეების ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდს შეადგენს ადგილობრივ საბჭოთა ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებული ყოველწლიური ასიგნებები.

2. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ისეთ კომუნალურ საწარმოში, სადაც ქალებიც მუშაობენ, მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან გადადებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ 5%-სა საბავშვო ბავებისა, ბაღე-

ბისა და ბავშვთა დაცვის სხვა დაწესებულების მოსაწყობად და შესანახად. ამასთანავე, ის საწარმო, სადაც ქალების შრომა სჭარბობს, ვალდებულია გაადილოს აღნიშნული დანიშნულებისათვის გადასადები თანხა.

შენიშვნა. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან ამა მუხლის თანხმად გადასადები თანხის ზედმიწევნითი რაოდენობა (პროცენტი) განისაზღვრება ადგილობრივი საბჭოს და პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით.

3. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან, ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანხმად, გადადებული თანხა გადაეცემა სახალხო განათლებისა და ჯანმრთელობის ადგილობრივ ორგანოებს და დახარჯება აღნიშნული ორგანოებისა და პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით შემუშავებული მტკიცე გეგმით.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული თანხები ჯანმრთელობისა და სახალხო განათლების ორგანოთა შორის განაწილდება ადგილობრივი საბჭოს და პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით.

4. ფონდის დანარჩენი ნაწილის დახარჯვა სწარმოებს იმ საკიროებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საკიროებათა დასაკმაყოფილებლად, როგორცაა:

ა) საზოგადოებრივი კვების დაწესებულებანი (სასადილოები, საჩაიები და სხვ.).

ბ) კულტურულ-განმანათლებელი დაწესებულებანი (კლუბები, ბიბლიოთეკები და სხვ.).

გ) სანიტარულ-ჰიგიენური დაწესებულებანი (აბანოები, სამრეცხველოები და სხვ.).

შენიშვნა 1. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თანხების მოხმარება ისეთ კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საკიროებისათვის, რის დაკმაყოფილებაც კანონით ადგილობრივ საბჭოებს აქვთ დაკისრებული, არ შეიძლება.

შენიშვნა 2. ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფი კომუნალური საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა საბინაო მშენებლობისათვის საკირო თანხები გაიღება იმ საერთო ასიგნებიდან, რაც ადგილობრივი საბჭოების ხარჯთაღრიცხვებში გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობისათვის. აღნიშნული ასიგნებით წარმოებული მუშათა საბინაო მშენებლობის გეგმა წინასწარ შეთანხმებულ უნდა იქნეს სათანადო პროფკავშირთა საბჭოებისა ან სამპროფბიუროებათა კუთვნილებისამებრ.

5. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თანხების დახარჯვა ისეთ კულტურულ და ყოფა-ცხოვრების საკიროებაზე, რაც წინა მუხლით არ არის გათვალისწინებული, შეიძლება მხოლოდ ადგილობრივი საბჭოს და საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შეთანხმებით.

შენიშვნა. იმ თანხების გარდა, რაც იხარჯება მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდიდან მე-4 მუხლით გათვალისწინებულ საკიროებათა დასაკმაყოფილებლად, ადგილობრივ საბჭოებს შეუძ-

ლიანთ დახარჯონ თავიანთი საერთო სახსარი მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ და ყოფაცხოვრების საჭიროებაზე, ხოლო მარტოოდენ იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს დაკისრებული აქვთ მათ კანონით, ან მათ თვითონვე იკისრეს კოლექტიური ხელშეკრულებით.

6. მე-4 მუხლში აღნიშნული თანხები ადგილობრივ საბჭოებს შეუძლიანთ მოახმარონ მუშათა საბინაო მშენებლობასაც, ხოლო სათანადო პროფესიონალურ კავშირთან შეთანხმებით.

7. მუშა-მოსამსახურეთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდში მუშათა საბინაო მშენებლობისათვის გადადებული ასიგნებები ინახება განსაკუთრებულ მიმდინარე ანგარიშზე საქართველოს სსრ კომუნალურ ბანკში და მის ფილიალებში; იქ-კი, სადაც ეს ფილიალები არ არსებობს,—სსრკ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ ფილიალებში, თანახმად სსრკ—ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ს დადგენილებისა (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 86); ხოლო სხვა კულტურულ და ყოფაცხოვრების საჭიროების დასაკმაყოფილებლად დანიშნული თანხები ინახება იმ საკრედიტო დაწესებულებაში, სადაც ადგილობრივ საბჭოს უფლება აქვს თავის საერთო სახსარი შეინახოს.

8. წინა მუხლში აღნიშნული საფონდო თანხები ადგილობრივ საბჭოებს შეაქვთ მიმდინარე ანგარიშზე შემდეგ ვადაზე: საბიუჯეტო წლის დასაწყისში არა უგვიანეს ორი კვირისა შეიტანება თანხა, რომელიც უნდა უდრიდეს ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შესაქმნელად წინა წლის ხარჯთაღრიცხვით გადადებულ ასიგნებათა ერთ მეოთხედს; დანარჩენი თანხა კი შეიტანება თანაბარ ნაწილებად თვითეული შემდგომი კვარტალის დასაწყისში.

9. უკეთეს მიმდინარე ანგარიშზე შესატანი თანხები დანიშნულ ვადაზე არ იქმნა შეტანილი, სათანადო ადგილობრივი საბჭო ვალდებულია ამ თანხებს დაარიცხოს პროცენტი ისეთი რაოდენობით, რასაც სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი იხდის მიმდინარე ანგარიშზე შეტანილ თანხებისათვის; აღნიშნული პროცენტი გამოიანგარიშება მთელი ვადაგადაცილებული დროის მიხედვით, თანაც არა სრული თვე სრულ თვედ ჩაითვლება.

10. ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თანხების დახარჯვა პროფესიონალურ კავშირთა გეგმებისა და ხარჯთაღრიცხვების შეუთანხმებლად აკრძალულია.

11. შეუთანხმებლობა ადგილობრივ საბჭოსა და პროფესიონალურ კავშირის შორის ისეთ საკითხებზე, რაც ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თანხების დახარჯვის გეგმის შედგენას შეეხება, გადაწყდება ადგილობრივი საბჭოს და საქართველოს სსრ პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს შეთანხმებით. დავა ადგილობრივ საბჭოს და პროფესიონალურ კავშირს შორის ისეთ საკითხზე, რომელიც შეეხება ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ფონდის თანხების დახარჯვას შეუთანხმებელი გეგმის მიხედვით, გადაწყდება მომრიგებელ-სამედიატორო ორგანოებში შრომითი კონფლიქტების გადაწყვეტის წესით.

12. ადგილობრივი საბჭოს ყველა ის თანამდებობის პირი და პროფესიონალური ორგანიზაციის ის მომუშავე, რომელიც დაარღვევს მუშა-მოსამსახურე-

თა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შენახვისა და დახარჯვისათვის ამა დებულებით განსაზღვრულ წესებს, პასუხს აგებს სისხლის სამართლის ან საღის-ციპლინო წესით იმის მიხედვით, თუ რა გარემოებაში მოხდა ყოველი ცალკე დარღვევა; ამის გარდა, იგი პასუხს აგებს სამოქალაქო სამართლის წესითაც მისი მოქმედებით მიყენებული ზარალისათვის.

13. ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდზე კომუნალურ საწარმოთა და ადგილობრივ საბჭოთა ვალების გადახდევინების მიტყევა არ შეიძლება.

222. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

„სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212 მუხლის შენიშვნის დამატების თაობაზე“ გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ს თარიღისა და 96 №-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ-სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ნოემბრის 15-ს თარიღისა და 96 №-ის დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1927 წ. მე-11 №-რი, მუხ. 155) შესაცვლელად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 212 მუხლის შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

შენიშვნა. სესხის ხელშეკრულებებით გასათვალისწინებელი პროცენტების უკიდურეს რაოდენობას საქართველოს სსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი აფხაზეთის სსრ-ისა, აჭარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის განსაზღვრავს საქართველოს სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭო.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. **დ. ქუჩულორია.**

1929 წ. სექტემბრის 28.

ტფილისი.-სახალხო.

223. დადგენილება ც. ა. ქ. და ს. ქ. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხლის რედაქციის შეცვლისა და იმავე კოდექსისათვის 366⁸⁸-ა მუხლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ და თანახმად სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 9-ის და 13-ს დადგენილებებისა „სააქციო საზოგადოებათა დებულების შეესებებისა“ და „სააქციო საზოგადოებათა დებულების მე-3 მუხლის შეცვლის შესახებ“ (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-20 №-რი, მუხ. 172 და 173) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324 მუხ. შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 324. სააქციო საზოგადოება სახელმწიფო საზოგადოებად ჩაითვლება, უკეთეს მისი წესდებით გათვალისწინებულია: ა) რომ საზოგადოების ყველა აქცია უნდა ეკუთვნოდეს მარტოოდენ სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ; 2) რომ სახელმწიფო დაწესებულებათა და საწარმოთ უნდა ეკუთვნოდეს არა ნაკლებ საზოგადოების აქციების 2/3-სა, დანარჩენი აქციები-კი შეიძლება ეკუთვნოდეს შერეულ სააქციო საზოგადოებათ.

სააქციო საზოგადოება შერეულ საზოგადოებად ჩაითვლება, უკეთეს მისი წესდებით გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო დაწესებულებათ და საწარმოთ უნდა ეკუთვნოდეს:

ა) ან საზოგადოების აქციების ისეთი ნაწილი, რაც ამ საზოგადოების საწესდებო კაპიტალის ნახევარზე ნაკლები არ არის, იმ შემთხვევის გარდა, რაც გათვალისწინებულია პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტით,

ბ) ან უფლება—დაიპირონ საზოგადოების მიერ ასარჩევ ორგანოებში ყველა ადგილის ნახევარი მიწეც,

გ) ან და უფლება—მიიღონ არა ნაკლებ, ვიდრე საზოგადოების ოპერაციებით მოპოვებული დივიდენდის ნახევარი“.

II. სამოქალაქო სამართლის კოდექსს დაემატოს 366-⁸⁸-ა მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 366-⁸⁸-ა. სახელმწიფო სამრეწველო სააქციო საზოგადოებაზე სათანადოდ გაერკვლება სახელმწიფო სამრეწველო ტრესტების 1927 წ. ივნისის 29-ს დებულების (სსრკ კან. კრ. 1927 წ. № 39, მუხ. 92) 24—36 მუხლები“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **დ. ქუჩულორაია.**



224. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც. ა. კ. დ ა ს. ა. ს.

სამოქალაქო სამართლის კოდექსისათვის 407¹ მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთე მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამ. სამ. კოდექსს დაემატოს 407¹ მუხლი შემდეგი შინაარსისა:

„მუხ. 407¹. 407 მუხლით დაწესებული ქონებრივი პასუხისმგებლობის შეზღუდვა არა ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც დაკარგული (განადგურებული, გატაცებული, გაფლანგული, დაკარგული, მითვისებული, არა სათანადო პირისათვის მიცემული და სხვ.) ან დაზიანებულია ისეთი ქონება, რაც თანამდებობის პირმა ან სახელმწიფო დაწესებულებამ საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირის მეშვეობით—ჩაიბარა იმ მოქალაქისაგან, რომელიც ვალდებული იყო ან რომელსაც უფლება ჰქონდა გადაეცა ეს ქონება აღნიშნული დაწესებულებებისა ან თანამდებობის პირისათვის კანონის მოთხოვნისა, სასამართლოს გადაწყვეტილების ან ადმინისტრაციული ორგანოს კანონიერი განკარგულების ძალით, ან და ადმინისტრაციის ისეთი განკარგულების ძალით, რაც აღნიშნულ სახელმწიფო დაწესებულებებში მოქმედ შინა განრიგებაზეა დამყარებული. აღნიშნულ შემთხვევაში, როდესაც დაკარგულია ფული ან სხვა რამ გვა-

რობითი ნიშნებით განსაზღვრული ფასეულობა, სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია ფულის ან ფასეულობის შემტანს, ან იმ პირს, ვისთვისაც იგი იყო შეტანილი, გადაუხადოს იმოდენივე თანხა ან დაუბრუნოს ისეთივე ფასეულობა; უკეთუ დაკარგული ან დაზიანებულია სხვა რაიმე ქონება, სახელმწიფო დაწესებულება მოვალეა აუნაზღაუროს დაზარალებულს ნამდვილი ქონებრივი ზარალი.

სახელმწიფო დაწესებულება განთავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, უკეთუ დამტკიცდება, რომ ზიანი წარმოიშვა თვით იმ ქონების თვისებისაგან, რომელიც მიღებული იყო დაწესებულებისა თუ თანამდებობის პირის მიერ, ან გამოწვეულია გარდაუვალი ძალით. ხოლო, უკეთუ ასეთ შემთხვევაში ქონებას დაეკარგა თავისი ინდივიდუალური სახე, დაწესებულებას პასუხისმგებლობა არ მოეხსენება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. ქუჩულორია.

1929 წ. სექტემბერი 28.

ტფილისი—სასახლე.

225. დადგენილება ც.ა.კ. და ს.კ.ს.

საქართველოს სსრ-ის მიწის კოდექსის 27 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტების შეცვლისა და იმავე კოდექსის 29 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეორე მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მეორე სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების (საქ. კან. კრ. 1924 წ. 1-ლ №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

I.

საქართველოს სსრ მიწის კოდექსის 27 მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტები (სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. თებერვლის 1-ის თარიღისა და მე-9 №-ის დადგენილების რედაქციით კან. კრ. 1927 წ. მე-2 №-რი, მუხ. 16) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ნარინჯოვანი (ციტრუსოვანი) და დაბალ-ტანოვანი ნარგავის გასაშენებლად—ექვს წელიწადს;

გ) ვენახისა და ხილის ბაღის მაღალტანოვანი ნარგავის გასაშენებლად—ექვს წელიწადს.“

2. იმავე კოდექსის 27 მუხლის შენიშვნა გაუქმებულ იქნეს.

3. იმავე კოდექსის 29 მუხლს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ამა კოდექსის 27 მუხლში აღნიშნული უკიდურესი ვადები იჯარისა შეეფარდება აგრეთვე საადგილმამულო ფონდების მიწების იჯარით გაცემასაც.“

II.

ყველა იმ ხელშეკრულებას შრომითი სარგებლობის მიწების იჯარით გაცემის შესახებ, რომელიც დადებულია ამა დადგენილების გამოცემამდე ისეთი ხნით, რაც შემოაღნიშნულ უკიდურეს ვადებს აღემატება, ძალა აქვს ამა დადგენილებით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდიენის მაგ. **დ. ქუჭულორია.**

1929 წ. სექტემბრის 28.
თფილისი—სასახლე.

226. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

ნადირობის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგენენ:

1. დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება ნადირობის შესახებ.

2. გაუქმებულ იქნეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ნადირობის შესახებ 1922 წლის ივნისის 28-ის თარიღითა და 10 №-ით გამოცემული დეკრეტი.

3. ნადირობის დებულების მოქმედება გავრცელებულ იქნეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ. დ. ქუჩულოია.

1929 წ. სექტემბრის 28.

ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ნადირობის შესახებ.

1. ონავარი ნადირი და გარეული ფრინველი სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენს.

2. სანადირო მეურნეობა მდგომარეობს ონავარი ნადირისა და გარეული ფრინველის დაცვაში და მოშენებაში და აგრეთვე მათ რაციონალურად გამოყენებაში სახელმწიფოებრივი გეგმის მიხედვით.

3. საქართველოს სს რესპუბლიკის სანადირო მეურნეობა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაშია. აღნიშნული კომისარიატის შედგენილობაში სატყეო სამმართველოსთან დაწესებულია სანადირო მეურნეობის სპეციალისტის თანამდებობა.

4. სანადირო მეურნეობის სათანადოდ დაყენებისათვის საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაეკისრება:

ა) სანადირო მეურნეობის წარმოების ორგანიზაცია—სანადირო ცხოველთა დაცვითა და მოშენებითურთ;

ბ) ნადირობისა და აგრეთვე სანადირო მეურნეობის საკითხების შესახებ წესებისა, დადგენილებებისა და ინსტრუქციების გამოცემა, ნადირობის ვადების დაწესება და აკრძალვა;

გ) სანადირო შენაერთთა ნორმალური წესდების დამტკიცება და ამ შენაერთთა მოქმედების შეთანხმება ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან;

დ) შეკრული ტყისა, ზოოფერმისა, საცდელი მეურნეობისა და სხვათა დაარსება, აგრეთვე შუამდგომლობის აღძვრა ხელუხლებელი ტყის გამოყოფის შესახებ;

ე) სანადირო ადგილების გამოყოფა და მათი გამოყენების მოწესრიგება;

ვ) სანადირო სულიერი ინვენტარის აღნუსხვის წარმოება;

ზ) სანადირო სარეწაოების გამოკვლევის წარმოება და მათთვის კონტროლის გაწევა;

თ) მტაცებელ და საერთოდ მავნებელ ცხოველთა გასაწყვეტად საპირო ღონისძიებათა ხმარება და საამისო მოქმედების წარმართვა;

ი) სანადირო მეურნეობის დაყენებისათვის საპირო სახსარის გამონახვა და სანადირო მეურნეობის იდეის პოპულიარიზაცია.

5. კანონიერ ნადირობად ჩაითვლება ონავარ ნადირზე და გარეულ ფრინველზე არა აკრძალული ხერხით ნებადართულ დროს და ადგილას ნადირობის წარმოება იმ პირის მიერ, ვისაც ამის უფლება აქვს.

6. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის წარმოების უფლება აქვს საბჭოთა რესპუბლიკების მონადირეთა კავშირების წევრებს.

შენიშვნა. ამა მუხლში აღნიშნული წესი არა ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ნადირობა სწარმოებს ცალკე ორგანოთა და პირთა სარგებლობაში ქონებულ ბაღში, ბოსტანში, გაუჭრელ ყანაში და ისეთ ადგილას, სადაც კულტურული მცენარეულობაა; ეს წესი არა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევაზეც, როცა ესა თუ ის პირი მონაწილეობას იღებს ადმინისტრაციის მიერ მოწყობილ ნადირობაში მტაცებელ ცხოველთა გასაწყვეტად.

7. აკრძალულია ნადირობის წარმოება ისეთი ხერხით, რაც საერთო საშიშროებას წარმოადგენს, მაგალითად, მომართული თოფების და თვითმტყორცნელების დატოვება, ლერწამისთვის ცეცხლის წაქიდება, ორმოების ამოთხრა და მზამის გაფანტვა.

8. აკრძალულია ისეთ იარაღებსა და საშუალებების გამოყენება, რითაც სწარმოებს ნადირისა და გარეული ფრინველის მასიური გაწყვეტა, როგორც არის, მაგ., ქრელი ზეწრები, რომელსაც ხმარობენ ზოგიერთი ფრინველის მოსაკლავად, კარავი, ქსელი, ბადე, ლობით შეკვრა, მოყინულ თოვლზე, ყინულზე და მოჭრილ ლერწამში ნადირის გამოდევნა, სიცივით და ყინვით დამძრალი ნადირისა და ფრინველის დაჭერა, აგრეთვე მათი დაჭერა ბალნისა და ბუმბულის ცვლის დროს, დამე ქერა ცეცხლით, ჯოგებად მცხოვრებ ნადირთა მდინარეების გადაცურვის დროს დახოცვა და დაჭერა და აგრეთვე მიმინოთი და ქორით ნადირობა.

9. აკრძალულია ნადირისა და გარეული ფრინველის მხრჩობელი ან დამაშავებელი ხელსაწყოთი დაჭერა, როგორც არის მაგალ., მახე, ანკესი, ძუა, სარეგვაფი, ჩანგალი, ფრინველის წებო და სხვ.

10. აკრძალულია ფრინველთა ბუდის მოშლა და ბარტყებისა და კვერცხების ამოღება, მონაგები ნადირის ბუნაგიდან ამოცლა, და აგრეთვე სხვადასხვა ჯიშის ნადირისა და გარეული ფრინველის სოროების დანგრევა, გარდა იმ ნადირისა და ფრინველისა, რაც აღნიშნულია ამა დებულების მე-14 მუხლში.

11. აკრძალულია ნადირობა ავტომობილიდან და მოტოციკლიდან.

12. სრულიად აკრძალულია ყოველგვარი ნადირობა აპრილის 1-დან აგვისტოს 1-მდე.

13. აკრძალულია სანადირო ადგილებში გზის გადაღმა თოფით ან სხვა გვარი სანადირო იარაღით და ძაღლებით ყოფნა იმ დროს, როცა ნადირობა ნებადართული არ არის.

შენიშვნა. აკრძალულ დროს სანადირო ადგილებში შეიძლება მხოლოდ მეძებარ ძაღლების წვრთნა უთოფოდ, ხოლო მდევერებისა და მწვერების გადევნება აკრძალულია.

14. გაწყვეტა ისეთი ნადირისა და ფრინველისა, რომელიც ცნობილია მტაცებლად და მავნებლად საერთოდ ან მავნებლად განსაზღვრულ ადგილას და აგრეთვე გაწყვეტა სანადირო ადგილებში მაწანწალა ძაღლებისა და კატებისა ნებადართულია წლის ყოველ დროს, ყოველგვარი საშუალებით, გარდა საერთოდ-საშიშარი საშუალებებისა, ხოლო ნადირობის აკრძალვის პერიოდში ამისათვის საჭიროა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოს, ადგილობრივი ადმინისტრაციისა; ან და მონადირეთა კავშირის ადგილობრივი განყოფილების განსაკუთრებული ნებართვა.

საყოველთაოდ ან განსაზღვრულ ადგილას მტაცებლად და მავნებლად ცნობილ ნადირთა და ფრინველთა სიის განსაზღვრა ევალება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს.

შენიშვნა. იმ ადგილას, რომელიც მტაცებელი ნადირისა და ფრინველის გაჩენის გამო საშიშად იქნება ცნობილი შეიძლება შხამის ხმარება, ხოლო ამისათვის თვითველ ცალკე შემთხვევაში საჭიროა მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განსაკუთრებული ნებართვა.

15. ნადირობა იმ ადგილას, სადაც კულტურული მცენარეულობაა, აგრეთვე ნადირობა ბაღში, ბოსტანში, და გაუქრელ ყანაში შეუძლიან მხოლოდ იმ ორგანოს და პირს, რომლის სარგებლობაში თუ გამგებლობაშიაც ეს ადგილი იმყოფება.

16. გარეული ღორებისა და კურდღელების გაწყვეტა იმ ადგილას, სადაც მცენარეულობაა, აგრეთვე ბაღებში, ბოსტანებში და გაუქრელ ყანებში ნებადართულია წლის ყოველ დროს იმ ორგანოს და პირისათვის, რომლის სარგებლობაში თუ გამგებლობაშიაც ეს ადგილები იმყოფება, ხოლო ყველა სხვა პირთათვის—ამ უკანასკნელთა თანხმობით.

17. სამეცნიერო მიზნით ნადირობა ცხოველზე, ფრინველზე, აგრეთვე ფრინველთა ბუდეებისა და კვერცხების შეგროვება შეიძლება წლის ყოველ დროს განსაკუთრებული მოწმობით, რასაც თვითველ ცალკე შემთხვევაში, სათანადო დაწესებულების თხოვნით, გასცემს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი; ამისთანავე ხსენებულ მოწმობაში უნდა აღინიშნოს ის პირი, რომელმაც უნდა ინადიროს,

დრო, რაიონი და ხერხი ნადირობისა და აგრეთვე ის, თუ რა სახის ცხოველი და რამდენი უნდა იქნეს ნანადირევი.

18. აკრძალულია ნანადირევის გადაზიდვა, ტარება და აგრეთვე ყიდვა და გაყიდვა 5 დღის შემდეგ ნებადართული ნადირობის ვადის გასვლის დღიდან.

19. ნადირობის და სანადირო მეურნეობის შესახებ გამოცემული კანონებისა, ინსტრუქციებისა და განკარგულების დაცვისათვის ზედამხედველობის გაწევა დაეკისრება სატყეო ადმინისტრაციას, მილიციას და მონადირეთა კავშირს.

20. ნადირობა აკრძალულ დროს, აკრძალულ ადგილას და აკრძალული საშუალებითა და ხერხით გამოიწვევს პასუხისმგებლობას სისხ. სამართლის კოდექსის 89 მუხლის თანახმად, ხოლო ამა დებულების მე-18 მუხლში აღნიშნული აკრძალვის დარღვევა—სისხ. სამართლის კოდექსის 108 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად.

პასუხისმგებლობა ნადირობის სხვა წესების დარღვევისათვის განისაზღვრება მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სავალდებულო დადგენილებებით იმ ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია სავალდებულო დადგენილებათა გამოცემისა და მათი დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების წესის შესახებ გამოცემული დებულებით.

21. ნადირობის წესების დამრღვევთათვის ჩამორთმეული ნანადირევი გაიყიდება სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების მეშვეობით, ხოლო უკეთეს ეს უკანასკნელნი ნანადირევის ყიდვაზე უარს განაცხადებენ, ნანადირევი გაიყიდება კერძო ბაზარზე. ამასთანავე ნანადირევის გაყიდვით მიღებული თანხის 50% მიეცემა იმ პირს, რომელმაც ნადირობის წესების დარღვევა აღმოაჩინა, ხოლო დანარჩენი თანხა ჩაირიცხება სახელმწიფოს შემოსავლად საერთო საფუძველზე.

227. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს.

სანახაობათა გადასახადის უკიდურესი განაკვეთის შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. აპრილის 3-ს დადგენილებით (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. მე-11 №-რი, მუხ. 81) დამტკიცებული ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების განრიგების მე-3 რიგობითი მუხლის მე-4 პუნქტის შესაცვლელად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. სანახაობათა გადასახადის უკიდურეს განაკვეთად კინემატოგრაფიულ საწარმოთათვის დაწესებულ იქნეს ბილეთის ფასის 10%-ი.
2. დადგენილება ესე ძალაში შედის იმ დღიდან, რა დღესაც ძალაში შევიდა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული 1929 წ. აპრილის 3-ს დადგენილება „ადგილობრივ გადასახადთა და გამოსაღებთა უკიდურესი განაკვეთების შესახებ“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
 საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ. დ. ქუჩულორია.

1929 წ. სექტემბრის 28.
 ტფილისი—სასახლე.

სენსრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენი- ლებანი.

228. დადგენილება ც. ა. კ.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა და ახალციხის მაზრის ადმინისტრატორულ-ტერიტორიალურ დაყოფის დაშტაკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ-ის ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის შესახებ 1929 წლის ივლისის 11-ის თარიღით გამოცემული (საქართველოს სსრ. კან. კრებ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 168) დადგენილების დასამატებლად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქისა და ახალციხის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფა ამ დადგენილებასთან დართული განრიგების თანახმად (დანართი № 1).

სრულიად საქართველოს ცენტრალური
 აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგ. უდგეტი.

სრულიად საქართველოს ცენტრ. აღმასრულებელი
 კომიტეტის მდივანის მაგიერ ქუჩულორია.

1929 წ. სექტემბრის 19.
 ტფილისი—სასახლე.

დანართი № 1 სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ახალციხის მაზრის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფის დამტკიცების დადგენილებისა.

ბ ა ნ რ ი ბ ე ბ ა

საქართველოს სს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ დაყოფისა.

სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი (ცენტრი ქალ. ცხინვალი) შეიცავს შემდეგ რაიონებს:

I. ჯავის (ცენტრი ს. ჯავა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: 1. ს. კუდარის, 2) თედელეთის, 3) წონის, 4) ყეშულთის, 5) ქეშელეთის, 6) ჯავის, 7) კოდიბინის, 8) კოშკის და 9) ქვ. როქის.

II. ცხინვალის (ცენტრი ქ. ცხინვალი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: 1) ოქონის, 2) თერგვანის, 3) ყორნისის, 4) წუნარის, 5) ცხინვალის, 6) ქურთის, 7) ორტევის, 8) ვანათის, 9) ბელოთის, 10) აწრისხევის, 11) გრომის და 12) ბიკარის.

III. ახალგორის (ცენტრი ს. ახალგორი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: 1) მონასტერის, 2) ლომისის, 3) ქსანის, 4) ახალგორის, 5) ლეხურის, 6) იორლის-ხევის და 7) წინაკარის.

ახალციხის მაზრა (ცენტრი ქალ. ახალციხე) შეიცავს შემდეგ რაიონებს:

I. ბენარის (ცენტრი ს. ბენარა), რომელშიაც შედის სასოფლო სეგბოები: 1) კეკლის, 2) ადიგონის, 3) ვარხანის, 4) ენთელის, 5) უდეს და 6) ლელოვანის.

II. ახალციხის (ცენტრი ქ. ახალციხე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: 1) ვალეს, 2) ჯაყისმანის, 3) ფამაჩის, 4) ახალციხის, 5) წყრუთის 6) ელიაწმინდის, 7) კლდის, 8) აწყურის, 9) ტაძრისის, 10) მინაძის და 11) ურაველის.

III. ტოლოშის (ცენტრი ს. ტოლოშა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: 1) ზველის, 2) ასპინძის, 3) თმალის, 4) ტოლოშის, 5) შალოშეთის, 6) აგარის და 7) ნიალის.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 221 №-ში 1929 წ. სექტემბრის 25.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

229. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ. ს.

„საქართველოს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოო (სამუშაო) კვირაზე გადაყვანისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო მთავრობის კომისიის დებულებების“ დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება „საქართველოს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო მთავრობის კომისიის შესახებ“.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-

ჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბ-

ჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი—სახალხე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო მთავრობის კომისიის შესახებ.

I. საქართველოს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებათაშორისო მთავრობის კომისია მოეწონა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან; კომისიაში შევიდნენ: სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ან მისი მოადგილე—თავმჯდომარედ, და თითო მუდმივი წარმომადგენელი სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი, შრომის სახალხო კომისარიატისა, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოსი, სახელმწიფო საგემო კომისიისა, პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტისა და აგრეთვე კომისიის მდივანი.

შენიშვნა 1. 1-ლ მუხლში აღნიშნული დაწესებულებები და ორგანიზაციები დანიშნავენ მუდმივ წარმომადგენელთა მოადგილეებს.

შენიშვნა 2. კომისიის შედგენილობას დამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო.

შენიშვნა 3. კომისიის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ტრესტთა და საწარმოთა ადმინისტრაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელები და აგრეთვე სათანადო საწარმოთა პროფესიონალური კავშირები.

II. საქართველოს სახალხო მეურნეობის განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანისათვის არსებული რესპუბლიკანური საუწყებთაშორისო მთავრობის კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს:

- 1) შეიმუშაოს გეგმები და ღონისძიებანი საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადაყვანისათვის;
- 2) მისცეს დასკვნა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის საკითხების შესახებ და დაამტკიცოს ყველა საწარმოთა და სახალხო მეურნეობის რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა დარგების განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა;
- 3) გამოარკვიოს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასაცენ ერთეულთა ნედლეულით, სათბობით, მასალით და იარაღით უზრუნველყოფის შესაძლებლობა;
- 4) გამოარკვიოს ორთქლ-ძალისა და ენერგეტიული მეურნეობა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლასთან დაკავშირებით;
- 5) შეიმუშაოს ღონისძიებანი საწარმოთა გაწყობილების მეტი დატვირთვის განსახორციელებლად და მათი შეუწყვეტელი მუშაობისა და გაწყობილობის მიმდინარე რემონტის უზრუნველსაყოფად;
- 6) გამოარკვიოს სათანადო დამატებითი მუშა-ძალის შერჩევებისა და კვალიფიციური მუშებისა და ტექნიკური პერსონალის დამატებითი კადრის მომზადებისათვის საჭირო ღონისძიებთა განხორციელების შესაძლებლობა;
- 7) შეიმუშაოს საკითხები სამუშაო კვირის დღეთა რიცხვისა, ცვლადობის მორიგეობისა და სხვ. შესახებ;
- 8) შეიმუშაოს ღონისძიებანი საწარმოთა ბინებით უზრუნველყოფისათვის მუშათა დამატებითი კადრის მოსათავსებლად;
- 9) შეიმუშაოს საკითხები დასვენების დღის შემცირებული წინა-დღის დაწყებისა და კომპენსაციის შესახებ, აგრეთვე საკითხები ტექნიკური და ადმინისტრატიული პერსონალის ყოველკვირეული დასვენებისა, შვებულების მიცემისა და მათი მორიგეობისა და სხვ. შესახებ;
- 10) განსაზღვროს საჭირო კაპიტალური დაბანდების რაოდენობა დამატებითი გაწყობილობისათვის, რემონტისათვის, ნედლეულის დამზადების გადიდებისათვის და სხვ.;
- 11) გამოარკვიოს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის ეკონომიური ეფექტი შემდეგი ნიშნების მიხედვით: პროდუქციის გამოშვების გადიდება, თვითღირებულების შემცირება, ამორტიზაცია და სხვ.;
- 12) განიხილოს და დაამტკიცოს ამა მუხლში აღნიშნული ღონისძიებანი რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლისათვის (გადასვლის იმ კვალიფიკაციის მიხედვით, რაც დასახულია ამიერკავკასიის საუწყებთაშორისო მთავრობის კომისიის მიერ);
- 13) თვალყური ადევნოს, რათა საქართველოს საწარმოთა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლა განხორციელებულ იქნეს დანიშნულ ვადებზე;
- 14) ურთიერთობა იქონიოს ამიერკავკასიის საუწყებთაშორისო მთავრობის კომისიასთან და წარუდგინოს მას დასამტკიცებლად დადგენილებანი განუწყვე-



ტელ საწარმოო კვირაზე გადასაყვან იმ საწარმოთა შესახებ, რომლებსთვისაც საჭიროა ამიერკავკასიის საუწყებთათაშორისო კომისიის სანქციის მიღება.

III. კომისიის სხდომები დაინიშნება საჭიროებისადამიხედვით, ხოლო ორჯერ მაინც თვეში.

IV. კომისიის დადგენილებანი დამტკიცებულ უნდა იქნეს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მიერ, რის შემდეგაც ეს დადგენილებანი საბოლოოა.

230. დადგენილებათა ს.კ.ს.

„სასესხო პროცენტების უკიდურესი ნორმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 29-ს დადგენილების შეცვლის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

I.

1. „სასესხო პროცენტების უკიდურესი ნორმის შესახებ“ გამოცემული 1928 წ. თებერვლის 29-ს დადგენილების (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-3 №-რი, მუხ. 22) მე-3 მუხლი ამოიშალოს.

2. იმავე დადგენილების მე-4 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: „4. დადგენილება ესე შეტანილ იქნეს სამოქალაქო სამართლის კოდექსში 212 მუხლის დანართად“.

II.

მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გააუქმონ მათ მიერ, „სასესხო პროცენტების უკიდურესი ნორმის შესახებ“ გამოცემული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. თებერვლის 29-ს დადგენილების მე-3 მუხლის თანახმად, გამოცემული საკანონმდებლო აქტები.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. აგვისტოს 27.

ტფილისი—სასახლე.

231. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ს. კ ს.

სპირტის სასმელების ვაჭრობის შეზღუდვის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აიკრძალოს პურისა და ჭაჭის არყის გაყიდვა სოფლად ყველა სავაჭრო ადგილას, სამომხმარებლო კოოპერაციის მაღაზიებისა და დუქნების გარდა.

2. აიკრძალოს სპირტის სასმელების (პურისა და ჭაჭის არყისა, არყის ნაკეთობისა, ღვინისა და ლუდის) გაყიდვა მუშათა და გლეხთა წითელ არმიასში მოქალაქეთა გაწუქვის დღეებში (სამედიცინო შემოწმებისა, კომანდების, მოწყობისა და გაგზავნისა და ეშვლონების გავლის დროს) და ხანგრძლივი ვადით დათხოვნილთა განმეორებითი თავმოყრისათვის თავმოყრის პუნქტებზე გამოცხადების დღეებში, აგრეთვე მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სათადარიგოდ გადარიცხულთა შემოწმებისათვის თავმოყრის დღეებში და მასსიური ხასიათის საცდელი და განმეორებითი მობილიზაციის ჩატარების დღეებში.

შენიშვნა. იმ ადგილებს, სადაც იკრძალება სპირტის სასმელების გაყიდვა, და იმ დროს, რომლის განმავლობაშიაც მოქმედობს ეს აკრძალვა განსაზღვრავენ საქალაქო საბჭოები და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები (იქ, სადაც სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი არ არის მოწყობილი — სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი) კუთვნილებისამებრ, ოლქების (მაზრების) სამხედრო კომისრებთან შეთანხმებით.

3. აიკრძალოს სპირტის სასმელების გაყიდვა ყველა სავაჭრო ადგილას, რესტორანში, სასადილოში, სასაუზმეში (სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო):
 ა) რევოლიუციონური დღესასწაულების დღეებში (შრომის კანონთა კოდექსის 111 მუხ.);

ბ) საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა ადგილმდებარეობის რაიონებში — სა-
 მუშაო ხელფასის გაცემის დღეებში, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე ორ დღეს თვეში.

შენიშვნა 1. რევოლიუციონური დღესასწაულების წინაღობებში სპირტის სასმელების ვაჭრობა უნდა შეწყდეს ერთი საათით ადრე ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშაობის დამთავრებამდე.

შენიშვნა 2. იმ რაიონებსა, სადაც ამა მუხლის „ბ“ პუნქტით იკრძალება სპირტის სასმელების გაყიდვა და იმ დროს, რომლის განმავლობაშიც ეს აკრძალვა მოქმედობს, განსაზღვრავენ სათანადო ადგილობრივი საბჭოები შრომის სახალხო კომისარიატის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით.

4. აიკრძალოს სპირტის სასმელების მიყიდვა მცირეწლოვანთათვის და მთვრალთათვის.

5. აიკრძალოს სპირტის სასმელების გაყიდვა მუშათა კლუბებში სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებთან, თეატრებთან, კინემატოგრაფებთან, საზოგადო ბალებთან და საერთო საცხოვრებელ სახლებთან არსებულ ბუფეტებში, აგრეთვე სახალხო სეირნობის ადგილებში.

შენიშვნა. მუშათა კლუბებში და თეატრისა და საზოგადო ბალების ბუფეტებში ღვინის და ლუდის გაყიდვა შეიძლება.

6. აიკრძალოს სპირტის სასმელების გაყიდვა სეზონის განმავლობაში საკურორტო ადგილების იმ ტერიტორიაზე, რომელსაც განსაზღვრავენ ადგილობრივი საბჭოები საკურორტო სამმართველოსთან შეთანხმებით.

7. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს ავებს სისხლის სამართლის წესით საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 111 მუხ. თანახმად.

8. წინადადება მიეცეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. ერთი თვის ვადაზე დღიდან ამა დადგენილების დამტკიცებისა, გამოსცეს ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან (საქართველოს სსრ-ში) შეთანხმებით, ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

9. მიენდოს აფხაზეთის სსრ-ისა და აჭარისტანის ავტ. სსრ-ის სახალხო კომისართა საბჭოებსა და სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გამოსცენ დადგენილებანი სპირტის სასმელების გაყიდვის აკრძალვის შესახებ აღნიშნული რესპუბლიკებისა და ოლქის ტერიტორიაზე ამა დადგენილების 1,2,4 მუხ. და მე-3 მუხლის „ბ“ პუნ. გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მიეცეს იმავე ორგანოებს უფლება აკრძალონ სპირტის სასმელების გაყიდვა სხვა დანარჩენ შემთხვევებშიაც, რაც გათვალისწინებულია ამა დადგენილებაში.

საქართველოს სსრ სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. სექტემბრის 17.

ტფილისი—სასაზღ.